№ 174, აგვისტო 12 ხამშაბათი — 1886 — აგვისტო 12, ხამშაბათი № 174

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტგრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.

ტფილისი, 11 აგვისტო

მეცნიერთაგან გამოძიებულია, რა ხნიდამ ჩამოვარდა იგი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც სხვა და სხვა ადგილებში სხვა და სხვა სახელი ჰქვიან და ჩვენში კი ხიზნობა. დასაბამი საშუალი საუკუნოებია, როცა მონასტრებმა და სხვილმა მებატონეებმა დიდ-ძალი მიწა-წყალი ასე თუ ისე ხელში მოიგდეს. რადგანაც მაშინ მიწას დიდი ფასი არა ჰქონდა, ბერები ადვილად უთმობდნენ მონასტრის მიწებს მიწათ მოქმედებსა სახმარად, აძლევდნენ დასაბინავებელს ადგილს, სახნავ სათესს, ტყეს და საძოვარს იმ პირობით კი, რომ მონასტრებისათვის მორიგებული სამსახური გაეწიათ და ღალა ეძლიათ. ამ ნაირად მონასტრებს ყოველ წლივ ცოტა თუ ბევრი შემოსავალი ჰქონდათ იმ მიწა-წყლისაგან, რომელნიც უამისოდ არას იძლევოდნენ და უხეიროდ დარჩენილნი მუქთად ეყარნენ. სხვილთა მემამულეთაც ამავე სახით დაასახლეს, თავისი უკაცო მამულები და მონასტრის პირობანივე დაუდვეს მიწათ-მოქმედთა.

„სჩანსო, ამბობს ერთი მეცნიერი*) —რომ ამ შემთხვევაში მამულის პატრონებმა შეირჩინეს ნება ადგილიდამ დათხოვნისა, მიწა-წყლის ჩამორთმევისა ათს წელიწადში ერთხელ. გარნა ამ ნებას ვერ ამოქმედებდნენო, რადგანაც ჯერ შენობის ფასი უნდა ეზღოთ დათხოვნილისათვის და მერე ძნელი საშოვარი იყო სხვა კაცი, რომ მიწები აეღო სახმარადაო.“

ამ სახით ესე გაცემა მიწებისა ჩვეულებად გადიქცა და მონასტრები და სხვილი მემამულენი ამ ჩვეულების ძალით რჩებოდნენ რასმეს თავის უქმად და უკაცოდ დარჩენილს მამულებსა. რადგანაც მამულის ამღები კაცი ძნელად საშოვარი იყო და მემამულისათვის არ იყო სახეირო უქმად გდება მიწებისა, თქმა არ უნდა, ეს გარემოება ცილობას შეჰქმნიდა. ცილობა რაში უნდა გამოთქმულიყო? იმაში, რომ ერთს მეორეზედ უფრო მეტი შეღავათი უნდა მიეცა მიწათ-მოქმედისათვის, უკეთესი პირობა აღეთქვა, რომ მიწათ-მოქმედნი თავისაკენ მოეზიდნა. ამის გამო ვხედავთ, რომ სხვისა მიწის ხმარება ჯერ დროებითად დადგენილი, თან-და-თან უფრო გახანიერდა და XVI საუკუნის არეულ-დარეულს დროს სამკვიდროდ და საშვილი-შვილოდ გადიქცა. ამ გზაზედ ერთხელ შემდგარმა, იარა, იარა ჩვეულების საფარველ ქვეშ, შეღავათი და უფრო-და-უფრო მიწათ-მოქმედისათვის სახეირო პირობანი უმატა და ბოლოს ხომ თავისი სრული, დამთავრებული სახე მიიღო და გოლანდიის ბეკლემრეხტად გადიქცა. აი დასაწყისი და ბოლო ხიზნობისა.

ახლა ვიკითხოთ, რა არის ბეკლემრეხტი, რომელსაც ჩვენ დავარქვით დამთავრებული სახე ხიზნობისა?

იგია მფლობელობა სხვისა მიწისა იმ პირობით, რომ მფლობელმა მიწის პატრონს აძლიოს ყოველ-წლიური ღალა, ანუ იჯარა, რომლის მომატებაც მიწის-პატრონს არ შეუძლიან. ეგ მფლობელობა გადადის ერთიდამ მეორეზედ მემკვიდრეობით. ამისთანა მფლობელობის პატრონს, ბეკლემ-მეიერს, შეუძლიან თავისი მფლობელობა გადასცეს ვისმეს ანდერძითა, თუნდ გაჰყიდოს, გააქირავოს, დააგირავოს კიდეც მიწის-პატრონის დაუკითხავად. ერთი ეს კია, რომ როცა მაგ-გვარი მფლობელობა ან მემკვიდრეობით, ან გასყიდვით ერთიდამ მეორეზე გადადის, მიწის-პატრონს უნდა მიეცეს მთელის ერთისა, თუ ორის წლის ღალა, იჯარა. შენობანი, რაც კია სახიზნო მამულში, სულ ხიზნისა, ანუ, როგორც იქ ეძახიან, ბეკლემ-მეიერისა არის, თუ რაიმე მიზეზით ხიზნობა მისი მოისპო და გაუქმდა, მიწის-პატრონმა უნდა იმ შენობის ფასი მისცეს.

ეს ასეთი მფლობელობა სხვისა მიწისა, ჩვეულების წყალობით დადგენილი, ჩვეულების საფარველ ქვეშ გაზრდილი და შენახული, ამ ბოლოს ხანებში ძლივ-ძლივს შეიწყნარა კანონმა და დღეს რჯულად არის დადებული გოლანდიაში.

---

*) იხილე წიგნი: „პირველ-ყოფილი საკუთრება“, გვერდი 247.

* * *

საოცარი დეპეშა მოგვივიდა დღეს ბოლგარიიდამ. ქურქეეოში მთავარ-მინისტრს ბოლგარიისას პეტკო კარაველოვს, ცანკოვს, რომელიც მთავრობის და მაშასადამე კარაველოვის მოწინააღმდეგე დასის მოთავედ ითვლებოდა აქამდე, როდოსლავოვს, იუსტიციის მინისტრად ნამყოფს და დღეს რედაქტორს ერთის დამოუკიდებელის გაზეთისას და კიდევ სხვათა შეუდგენიათ დროებითი მთავრობა და გამოუცხადებიათ, რომ ალექსანდრე მთავარი ამიერიდამ ტახტიდამ გადაყენებულიაო. თვით მთავარი ვიდდინში დაუტყვევებიათ, როცა თურმე ჯარებს ათვალიერებდა და ხელი მოუწერინებიათ ტახტის უარ-ყოფის ოქმზედა. საოცარიც არის ეს ამბავი და გაუგებარიცა. გაზეთებში ერთი სიტყვაც არ იყო გადაკრული ამის თაობაზე, არც ერთს გაზეთს ალღოც არ მიუტანია, რომ ბოლგარიის მოღვაწენი თვითვე გადააყენებდნენ ტახტიდამ იმას, რომელსაც იმდენს ქებასა და დიდებას უძღვნიდენ ფილიპოპოლის საქმისათვის, და გმირს ეძახდნენ სერბიის დამარცხებისათვის. მერე ვინ არიან მონაწილენი ამ საქმისა: ერთის მხრით კარაველოვი და როდოსლავოვი, რომელნიც სამინისტროში ვერ მორიგდნენ და ერთი მათგანი იძულებული იყო მინისტრობისათვის თავი დაენებებინა და ახალი გაზეთი დაეარსებინა და მეორეს მხრით—ცანკოვი—ეს დიდი მოწინააღმდეგე მთავრობისა. მართალია, ზოგიერთი გაზეთები წინააღმდეგნი იყვნენ ალექსანდრე მთავრის პოლიტიკისა, მართალია, ეს გაზეთები დღე-მუდამ იმას ქადაგებდნენ, რომ ალექსანდრე მთავარია მიზეზი, როგორც ფილიპოპოლის არეულობისა, ისე ბალკანებზე საქმეთა აწეწვისა და ამიტომ იგი უნდა იქმნას გადაყენებული ტახტიდამაო, მაგრამ არავინ არ მოიფიქრებდა, რომ ყველა იმისთვის, რაც მთავარმა ბოლგარიისათვის ღვაწლი გასწია, ასეთი სამაგიერო მიეწყობოდა ბოლგარიის ერის წარმომადგენელთაგან. 6 სექტემბრის ამბავმა, როცა გაბრიელ ფაშა—კრესტოვიჩი, გუბერნატორი აღმოსავლეთის რუმელიისა, დატყვევებულ იქმნა და ბოლგარიამ შეიერთა ეს ქვეყანა, ისევე გაგვაკვირვა და გაგვაოცა, როგორც დღევანდელმა დეპეშამ. მაშინ ჩქარა აღმოჩნდა, ვისი ხელი ერია ფილიპოპოლის საქმეში და ვისი უნარი იყო მაშინდელი მიხეთქ-მოხეთქება სახელმწიფოთა და ვისი ბრალი იყო, რომ ბალკანიის წერილთა ერთა იმედებმა ისეთის ძალით გაიღვიძა და ცოტას გაწყდა

ფელეტონი

სიმღერა

მე რო ტირილი მეწადოს,
თქვენ ეს რა გინდათ ნეტარა?
ერთი იცინის, სხვა სტირის:
ესეთი არი ქვეყანა.
ვისაც არ მოგწონთ ტირილი,
ის ნუ დასჯდებით ჩემთანა.
მტირალის სტვირის პატრონი
ფეხს როგორ გავსწევდი თქვენთანა?!
მაგრამ გაიგებთ ერთხელაც,
ვინ ახლო ესდგევართ ღმერთთანა?!

ვაჟა-ფშაველა

1886 წ.

სავით*)

დაკარგული ფელეტონი. ვუძღვნი თ. დავით ერისთავს, პეტრე მირიანოვს და მებრვე სხვათა პურისტთა.

ჩინეთის გალავანი აქვს შემოვლებული ქართულ ენას. სხვა ენებზე სამი-ოთხი საუკუნის წინად დაწერილ წიგნს დღეს კაცი ვერ წაიკითხავს ულექსიკონოდ და უმოძღვროდ. ამ ხანში ერის მოძრაემა გონებამა და ენამ სულ ყველაფერი შესცვალა: სიტყვები, წერის და ლაპარაკის კილო, თვით გრამატიული ფორმებიც; ჩვენში კი (ღმერთი უვნებელი მყუდროებისა და სიმშვიდისა გვფარვიდეს ჩვენ) თოთხმეტის საუკუნის წინად დაწერილს სახარებას დღეს უფრო ადვილად კითხულობს კაცი, ვიდრე ამ დღეებში თელავიდამ მოწერილ კორრესპონდენციას. ენაშიაც გამოვიჩინეთ ჩვენ ის ნაქები (თუ გმობილი) „ნუ დაჰკარგავ“, რომელიც ანდაზას მიუჩემებია რჯულისა და მეგობრისათვის. ერთხელ თქმულს და გაგონილს ფრაზას ჩვენი ერი ერთგულ გუშაგად დასდგომია: ნუ ვინ ახლებთ ხელს რუსთველის ენას, ნურავინ მოსცხებთ ჩირქს ტაძარსა წმიდას.

ბაშ-უსტა! მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ, დაგვაყარა რამე ხეირი ამ გვარმა მეველეობამ? მოვიგეთ რამე ამ გვარის შინ-ჯდომით? ვფიქრობ რომ არა. ყოველ შემთხვევაში მოვიგეთ ის, რაც მოიგო ჩინეთმა თავისის გალავნებითა, ე. ი. ენა დარჩა ცოცხალი, მაგრამ დარჩა უძრავი და უცვლელი. ათას-ოთხასი წელიწადი ეს ენა ისევ იმ ერთს ადგილზე სდგას, სადაც მოასწრეს იმას ოთხ-თავის მთარგმნელთა წმიდათა მამათ. არც წარმატება, არც წინ-წაწევა, არც განახლება! ახალმა დროებამ, რომელმაც თითქმის ყველაფერს აუთამაშა ფეხი და ყველაფერს წაჰკრა თითო მუჯლუგუნი კისერზე, ყველაფერი ააჩქარა, ვერ შემუსრა ენის ერთგულთა გარდამეტებული გულს-მოდგინეობა. ამათ ვერ შეითვისეს ჩვენს მწერლობაში ვერც იმერული ელემენტი ენისა—თუმცა ეს მწერლობა ოცი წლის განმავალობაში იმერლების ხელში იყო—ვერც რუსულიდამ გადმოღებული საზოგადო, ყოველ ევროპიულ ენებზე მიღებული ფრაზის ფორმები. როგორც წინად, ისე დღესაც ამბობენ: ანდრონიკოვის ქალმა ლეკური ითამაშა, გლდანელმა ჭობისხეველი გალახა; იმერლებმა ვერც „იცეკვა“ შეაბრალეს ამათ და ვერც «დასცა». დროებამ და გარემოებამ ტყუილად მოსთხოვეს მათ ახალი სიტყვები და ფორმები; იმათ ყურში ბამბა დაიცვეს და იერემიის გოდება გააბეს იმ წმიდა მოკამკამე რუსთველის და პეტრიწის ენის დაკარგვაზე, რომლისათვისაც არავის ფიქრადაც არ მოსვლია ყელის გამოჭრა. ასე ამ გვარად დღესაც „ნამდვილ ქართველნი“, მწერალნი, თუ არა-მწერალნი, ებუტებიან ყოველ-გვარ ახალ ნიშანს ქართულს ენაში. რას უზამ კაცი? იმათ კარგა იციან, რომ ჩვენის ენის საკუთარი ძალა, ე. ი. სიტყვების სიმდიდრე და ამაზე უფრო ამ სიტყვების ერთმანერთთან შეწყობა და შეკავშირება, ფრაზის მორთვა—ჯერ ხომ ჩვენში არავინ იცის რა არის ერთი გემრიელად შედგენილი ბიუფონისეული, აკადემიური ფრაზა—არა კმარა ჩვენთვის, თუ ჩვენ, როგორც ღარიბებმა, არ გამოვართვით რამე სესხად სხვა ლეედიერით გამოქნილ მდიდარ ენებსა და გირაოთ არ მივეცით ჩვენი გულ-წრფელი აღსარება (არ ვიცი რისგან არის, ახლა „აღიარებას“ სწერენ.) ჩვენს უძლურებაზე. ამ უკადრისთა კარგად იციან, რომ ყოველის ენის მზრდელი ელემენტი არის ერი, ესე იგი სოფლის მოსახლობა, პროვინცია, და რომ ამ პროვინციის უარ-ყოფა არის თვით მწერლობის აღორძინებისა და განვითარების უარ-ყოფა; რომ ენა იგივე ტომია, რომელიც მოგებაში რჩება, როდესაც უკავშირდება სხვა ტომსა, იგივე მდინარეა, რომელსაც აძლიერებს და ასაზრდოებს სხვა მდინარეების წყალი, მაგრამ ამ ენის გუშაგთათვის ცოდნა სხვაა და ცოდნის საქმეში გამოყენება სხვა.

ახალის სიტყვების შემოღებას თუნდ თავი დავანებოთ. ნახეთ რა დღე დაათიონ ამ ბატონებმა, თუ მამა-პაპისეულ ქართულ კილოს თქვენ კალმის ქვეშ სხვა ენის ხელი რამ დაეტყო ამ შემთხვევაში მათს მრისხანებას საზღვარი არ ექნება. ისინი დიდის გაჭირებით ამოიკითხვენ ფრაზას, თუ ეს ფრაზა ნამდვილ ქართულად არის შედგენილი, ე. ი. თუ წინადადებაში ქვემდებარეს დინჯად შესმენილი მოსდევს, შესმენილს დამატებითი სიტყვა და დამატებით სიტყვას წერტილი. მაგრამ შესცვალეთ ეს რიგი, ჩაურთეთ შუაში რამდენიმე ტირე, ფრჩხილები, მძიმიანი წერტილები, მიეცით წინადადებას მოძრაობა, სითბო, სიცოცხლე და თქვენ დაინახავთ თამაშს! ჯერ ორ-ტირეს შუა ისინი, როგორც იქნება, გაივლიან, როგორც სცილლასა და ხარიბდას შუა; მაგრამ თუ ამას მოჰყვა რამდენიმე რთული წინადადება, რამდენიმე წერტილები და მძიმიანი წერტილები, თუ პერიოდი გაგრძელდა და «ტოჩკა» შორს არის, საცა იმათ კარგა ლაზათიანათ შეეძლოთ დასვენება, ვაი! ვაი! ვაი!

რისგან არის ეს? რატომ ასე მაგრათ ჩავფრენივართ ადამის დროის წესებს და არ გვინდა ყური ვათხოვოთ ახალის დროების მოთხოვნილებას. ამის მიზეზი ჩვენს ნაციონალურს ხასიათში უნდა ეძიოს კაცმა. როგორც ნამდვილი აღმოსავლეთის ერი, ჩვენი ერიც კონსერვატორი არის, რომელიც არც ძველ გზასა ჰკარგავს, არც ძველ მეგობარსა.

... კონსერვატორობა არის იმის მიზეზი, რომ ამდენ ხანს ჩვენმა ენამ ვერ

---

*) ვბეჭდავთ ამ საყურადღებო წერილს, თუმცა არ ვეთანხმებით-კი ავტორის ზოგიერთს აზრებს.
რედ.

ალმოსავლეთის საქმემ არ იფეთქა. დღესაც მალე გამოირკვევა ეს საქმე და მალე გამოჩნდება, ვის რად უნდოდა, რომ ბოლგარიის მთავარი ტახტიდამ გადაეყენებინათ. იქნება ზოგმა კიდეცა სთქვას, რომ ამ საქმეში არავინ არ ურევია, თვით ბოლგართა გარდაო, მტრად გადაკიდებულნი კარაველოვი და ცანკოვი ერთად არ შეერთდებოდნენ, თუ ორთავეს ის სურვილი არა ჰქონოდათ, რომ ბოლგარია ბატტენბერგის პრინცისათვის გამოეწირნათო. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ განა ასეთ თვით-მნებელობას დასთმობს გერმანია და ბისმარკი ოფიციალურის გაზეთის „Post"-ის პირით იტყვის, რომ ალექსანდრე მთავრის გადაყენების გამო ტახტიდამ ევროპის მშვიდობიანობა არ დაირღვევაო?! განა იტყოდა, რომ სამთა იმპერატორთა კავშირი ისე მტკიცე არასოდეს არა ყოფილა, როგორც დღესაო?!..ამას თუ ამბობს გაზეთი, იმიტომ ამბობს, რომ იცის უთუოდ, რა განზრახვითა და რა აზრით შესდგა დროებითი მთავრობა ბოლგარიაში და დატყვევებულ იქმნა ალექსანდრე მთავარი.

დავიცადოთ და ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას იტყვის და როგორ გაამართლებს „Post"-ის იმედებს.

ახალი ამბავი

⁂ ამ თვის 9-სა, შაბათს რვა საათზე, ტფილისში ჩამოვიდა ახლად განწესებული ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი მ. პაისი, რომელიც ვიტებსკის სემინარიაში ყოფილა რექტორად.

⁂ ამბობენ, რომ ამ თვის 15-ს ტფილისში მოვაო უწმინდესის სინოდისაგან დანიშნული რევიზორი ბ-ნი ჩისტოვიჩიო, რომელსაც მინდობილი აქვს სემინარიის საქმეების განხილვაო.

⁂ გურიიდამ შემდეგს ამბავსა გვწერენ: «სოფ. ასკანაში ივლისის 28 სა საღამოს ჟამზე ყველა აქაური ურიები ერთად შეიკრიბნენ და ლოცულობდნენო. ამ დროს ვიღამაც ლორის პატივი ჩაუგდო. ურიებმა ლოცვა შესწყვიტეს და მოჰრთეს ყვირილი: „არიქა, გვიშველეთ, გაგვაუპატიურესო!" ერთმა ურიამ ს. ხიდისთავის მოვაჭრის ი. კ—ძის შვილს დაუწყო ლანძღვა-გინება, რომ შენ იყავიო. გურულებმა ლანძღვა იუცხოვეს და ერთმა მათგანმა ჯოხით თავი გაუხეთქა საბრალო ებრაელსა, რომელმაც საზარელის ხმით დაიწყო ყვირილი და ღრიალი. ამ ყვირილზე მოვიდნენ პრისტავი და მამასახლისი, რომელთაც თავ-გატეხილი ურია ჰნახეს. სისხლის დანახვაზე ებრაელები ძალიან შეშინდნენ: სახლიდამ ველარავინ ველარ გამოჰყო თავი, მხოლოდ „მიშველეს" ხმა-ღა ისმოდა. პრისტავმა, როგორც იყო, დააშოშმინა ებრაელები და გამოძიებას შეუდგა. ორი კაცი დაატუსაღა; ერთი დღესვე გამოუშვეს და მეორე კი ოზურგეთის სატუსაღოში გაჰგზავნეს. ებრაელნი ისრე შეშინდნენ, რომ მეორე დღესვე აალაგეს სავაჭრო და ჩვენის სოფლიდამ გადიხვეწნენო.»

⁂ მარიამობისთვის 6-სა, რუისში დღესასწაულობენ მაცხოვრის ფერისცვალებას. ამ დღეს დიდ-ძალი ხალხი—მლოცავი იკრიბება; იმართება ლხინი, ჰიდაობა. რუისელები ჰიდაობაში განთქმულნი არიან ზემოქართლში და ამიტომ აქ ლაზათიანი ჰიდაობა იმართება ხოლმე. წლეულს ძალიან ცხელოდა და ხალხი მალე დაიშალაო. აქ უფრო იკრიბება თავად-აზნაურობა; თვითონ რუისში ბლომად მოსახლეობენ აზნაურნი; ისე აზნაურის ოჯახი არ იქნება, რომ ათი-თხუთმეტი კაცი არა ჰყავდეს ამ დღეს სტუმრად. ესეც უნდა ვსთქვათ, ისე არ გათავდება ხოლმე ეს დღეობა, რომ მართლა ფერი არ იცვალონ: უთუოდ ასტეხენ ჩხუბებსა, აყალ-მაყალსა. წლეულსაც არა ერთი და ორი დაუჭრიათ ჩხუბშიო.

ამ დღეს რუისის სკოლისათვის გამართული უნდა ყოფილიყო ლატარეია. იყო თუ არა, არას გვატყობინებენ. კარგი იქნება, გვაცნობონ, როგორ წავიდა ლატარეიას საქმე.

⁂ გორის სასულიერო სასწავლებლის ახალი სახლის გეგმა დაუმტკიცებია უწმინდესს სინოდსა. გეგმა უკვე მოსვლიათ; ფულიც მზადა აქვს სამღვდელოებას. ეხლანდელი სახლი სასწავლებლისა ერთობ დაძველებულია, ლამის დაიქცეს, ამიტომ ეხლავე უნდა შეუდგნენ საქმეს, თუ უნდათ, რომ 1887 წლის შემოდგომისათვის მზად იყოს სახლი და სასწავლებელი გადიტანონ. ვამბობთ, ეხლავე შეუდგნენ საქმეს იმიტომ, რომ სახლი ერთობ დიდია და დროზედ მისი აშენება და დამთავრება საძნელოა, თუ პატარა ადრე არ მოჰკიდებენ საქმეს ხელსა. ამბობენ, რომ ეს ახალი სახლი გორის სასულიერო სასწავლებლისა ძალიან კარგს გეგმაზე იქნება აშენებული და არა თუ საქართველოში, რუსეთშიაც ბევრი არ მოიძებნება ასეთი ლაზათიანი და ყოვლის ფრით შემკობილი სასწავლებლის სახლიო.

⁂ გორის მაზრაში, სოფელ ტყვიავში, როგორც გვწერენ, აქამდე საქონლის ავად მყოფობა—თურქული საშინლად იყო გახშირებული; ახლა საქონელს დაერია ჭირი, რომელიც საშინლად ჰქლეტავს; კომლი არ არის დარჩენილი, რომ არ უდგეს ეს სენიო. კარგი იქნებოდა აეკრძალათ სხვა სოფელში გახიზვნა საქონლისა, რომ სხვაგანაც არ გადაიტანონ ჭირი. ზოგიერთი აქაური მცხოვრებლები ჩუმად აპარებენ საქონელს სხვა სოფელშიო.

⁂ ს. დიცში, გორის მაზრაში, ერთის გლეხ-კაცის, სოსიკა ბეროს ძეს მინდიაშვილის მეუღლეს, მიეცა ამ ერთის კვირის წინედ სამი ვაჟი-შვილი ერთად. სამივე ჯან-მთელები არიან; პატრონები ძალიან ღარიბები არიან და სწუხან, როგორ დავზარდოთო.

⁂ ფოთიდამ გვწერენ: აგერ ერთი თთვე არის, რაც ფოთელებს გვესტუმრა ძმათა ნიკიტინების ცირკი. ამათმა ყოველ-დღიურმა წარმოდგენებმა თავი მოაბეზრა ხალხს, რადგანაც სულ ერთსა და იმავეს არდგენენ. ცირკის დირექტრისად არის ნიკიტინის მეუღლე, თანაშემწეებადაც ქალები ჰყავს. ხალხს ცირკის პატრონები ძალიან უზრდელად ექცევიან. გარდა უზრდელობისა, როცა ბილეთებს ჰყიდიან, ხანდისხან ხურდას აღარ გვიბრუნებენ, ისე რომ ვინც მიდის, იძულებულია, ფული იმტენი დაიჭიროს ხელში, რამდენიც ბილეთი ჰღირს. გუშინწინ, 6 აგვისტოს, ორი მეგრელთაგანი მუშა კაცი იქნამდის გაამწარეს უკანონო და უზრდელის ქცევითა, რომ ჩხუბი მოუვიდათ და კარგი ლაზათიანი სილები აჭამეს, როგორც დირექტრისას, ისე ბილეთის გამყიდავს ქალსაცა: ვინც გარემოება იციან ამ დამნაშავეებს არ ამტყუნებენ, რადგან ქალების ბრალი ყოფილა.

ცირკის პატრონების უგვანს საქციელს ყურადღებას არავინ აქცევს; საწყალს მეგრელებს პირ-იქით სცემეს და მეორე დღეს, წარმოიდგინეთ, სასამართლომ ოც-ოცი დღე საპყრობილეში ჯდომა გარდაუწყვიტა. კარგი იქმნება, რომ ცირკს გარედ თვალი დაიჭირონ ხოლმე «დესეტნიკებმა»: ქვეყნის ხალხი გროვდება და გამვლელ-გამომვლელს გზას არ აძლევენ. შიგნით იმათ საქმე არ აქვთ, რადგანაც იქ პრისტავებიც არიან და თუ საჭირო იქნებიან, შეუძლიათ დაუძახონ ხოლმე.

⁂ საქალაქო გამგეობამ მეთულუხჩევს წყლის საწყაოები უკვე დაუბეჭდა და ჩააბარაო. ამ დაბეჭდილის საწყაოებით უნდა მიუწყონ მცხოვრებლებს წყალი და დანიშნული ფასი იღონ. ფასები ამას წინად გვქონდა გამოცხადებული.

⁂ ამ თვის 9-ს ტფილისის რკინის გზის სადგურზე დაუწვამთ ოც-დახუთი ათასი ძველი ბილეთი რკინის გზისაო.

⁂ შაბათს შუა-დღისას, ვორონცოვის ქუჩაზე, გაგიჟებული კამბეჩი მორბოდა, დაეტაკა ერთს ყმაწვილს კაცს, რქები რამდენჯერმე ამოჰკრა გვერდებში და ცოცხალ-მკვდარილა გამოაცალეს საბრალო კაცი გაგიჟებულს კამბეჩსაო.

⁂ ერთმა რომელღაც რუსულმა გაზეთმა ამას წინად ის აზრი გამოსთქვა, რომ მრეწველობასა და ფაბრიკებს შუა-გულ რუსეთში მოსკოვის ახლო-მახლო ძალიან ხელს უშლის ქვა-ნახშირის სიშორეო. ჩვენ გვგონია, რომ ეს მრეწველობა იქ უნდა იყოს, საცა ეს საწვავი მადნეულობა ბლომად მოიპოვება მიწაშიო, ესე იგი, სამხრეთ რუსეთისკენ უნდა გადაიდენ შიდა-გუბერნიებიდამაო, რადგან იქ მრავლად არის ფაბრიკისა და ქარხნისათვის საჭირო ქვა-ნახშირის მადნებიო. ეხლა კიდევ მეორე გაზეთი «Недѣля» სწუხს ამავე საგანზე: რუსეთის მწერლობასა და საზოგადოებას არ ესმის, სად არის მომავალი ბედი და სად ინახება ბედნიერებაო. ჩავციებივართ ჩრდილოეთის ქვეყნებს რუსეთის ასაო, საცა არც მიწაა ნაყოფიერი, არც სხვა რამ საქმე და ხალხიც იხოცება მრავლადაო. რამდენი ფული დავხარჯეთ მურმანის ნაპირების დასახლებისათვის, რამდენი ვეცადეთ ჩრდილოეთის განცხოველებისათვის, მაგრამ სულ მუქთად ჩაგვიარა ცდამა და შრომამაო. დროა გავი-

---

შეითვისა მისთვის უცხო ელემენტები. ამით აიხსნება, ჩემის ფიქრით, და არა უნიჭოებით ის გარემოება, რომ ჩვენი მწერლები საზოგადოდ კარგად იწყებენ თავიანთ ნაწერებს და ნაცვლად იმისა, რომ თან-და-თან უკეთ სწერონ, უხეიროდ ათავებენ თავიანთ თხზულებათ; დასაწყისში იმათ ნიჭს ენერგია ეხმარება, დასასრულში კი არა. ეს საზარმაცე არის იმის მიზეზი, რომ ფრაზა—ეს ქვა-კუთხედი კანონიერის მწერლობისა—არას დროს არ არის ჩვენში რიგიანად შედგენილი. დიდს ფრაზას, დიდს პერიოდს, რომლის დასაწყისი ერთს გვერდზეა და დასასრული მეორეზე, დიდი ხელოვნებაც სჭირია: მწერალმა უნდა დაჰყოს პერიოდი სხვა-და-სხვა ნაწილებად, მიუჩინოს თითოეულს ნაწილს სათანადო ადგილი, შეათანხმოს ისინი მის მეზობლად მყოფ წინადადებასთან და მთელს პერიოდში, თავიდამ ბოლომდის, გაიყვანოს ერთი რამ საზოგადო აზრი, რომელმაც დაიმორჩილოს ყველა დანარჩენი. სულ ყველა ამისთვის საჭიროა მღვიძარე გონება და მეხსიერება, ე. ი. საჭიროა ენერგია და შრომა. ამიტომაც არის რთულ წინადადებას ვერ შეხვდება კაცი ჩვენს უენერგიო მწერლობაში. კარგის პროზით დაწერილს „სიბრძნე-სიცრუეში" ხშირად ხუთ ექვსს გვერდში ერთს «რომელს» თუ მოჰკრავთ სადმე თვალს, თორემ უმეტეს ნაწილად სულ მარტივი წინადადებები არის.

მწერალზე უფრო ზარმაცი მკითხველია და ამ გარემოებას ცუდი გავლენა აქვს თვით მწერლებზე და მაშასადამე მწერლობაზე. მთელი საქართველო შემომივლია და ათი თორმეტი კაცი არ მინახავს, რომელთაც თავისუფალი გაკრული კითხვა სცოდნოდეს ქართულისა. მერე თუ ვინმემ იცის კიდეც კითხვა, არ შეიძლება ამ მცოდნემ მართლ-წერის ნიშნებს არ წამოჰკრას ფეხი,—ან შესაერთებელი არ გაჰყოს ან გასაყოფი არ შეაერთოს. ამბობენ ხმა-მაღლა კითხვა საქართველოში მარტო ერთმა კაცმა იცის, მამია გურიელმაო, მაგრამ იმანაც იცის კი? ქართველი არ ყოფილა, ეტყობა. უმეტესს ნაწილად ყველა მკითხველნი მწერლების სასოების წარმკვეთელად არიან შექმნილნი!

ერთმა ამისთანა მკითხველმა, ცნობილმა მწერალმა და პურისტმა, ჰსთქვა ამას წინად: ივერიის „ნაკვესებში": არც ერთი ქართული სიტყვა არ არისო. ამ სიტყვამ და ქვემოთ ხსენებულის „სავით"-ის გაგონებამ მაიძულა მე ეს დიდ-წინასიტყვაობიანი ფელეტონი დამეწერა. თქმულის დასამტკიცებელი საბუთები რომ მოვთხოვე ამ ბატონს, იმან გადაშალა „ივერიის" ნომერი და «ნაკვესის» კითხვა დაიწყო. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, რა გვარად წაიკითხა! მართლა რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ იყო შიგ. დიდის ჰაპან-წყვეტით, როგორც იყო, იმან წაიკითხა რამდენიმე სტრიქონი და უეცრივ გაზეთი გააგდო ხელიდამ: იმას შეხვდა სიტყვა «დაამატა». „აბა ეს სადაური ქართულია, რა ქართულია", იძახდა ის ბრაზ-მორეული. მე შიშით და ძრწოლით მივუგე: „რათა? რატომ არ შეიძლება ითქვას: „დაამატა", თუ კი ამბობენ: დააკერა, დააწება, დაადვა, დახედა", მაგრამ ჩემი ვინ გაიგონა? ფანატიკი თავისას იმეორებდა და მე ხმა ჩამაწყვეტინა. ამ გვარს შემთხვევაში პურისტებს ყოველთვის კარგი როლი აქვთ, ენის სიწმიდეს იცავენ! მე რა უნდა მექნა?

არ გასულა ამ მუსაიფის შემდეგ ერთი კვირა, შემთხვევამ მოიტანა და მე გურიაში მოვხედი. გურულებიც ქართველნი არიან, ე. ი. ზარმაცნი (საქმეში და არა ქცევაში), მაგრამ ქართულ ენას იმათ პირში უფრო სიცოცხლე აქვს, ვიდრე ქართლ-კახეთში. მოსწრებულის სიტყვით სამართლიანად ქებული გურული უკან არ ეწევა ენას, ქართლელსავით, იგი წინ ეზიდება და ეურჩება ხშირად ენის კანონსაცა. საკმაოა ვახსენოთ მაგალითად ის „სავით", რომელიც მოყვანილია ამ წერილის სათაურში. ამ სიტყვის გაგონებამ ქართლელისგან უსაფუძვლოდ გაბოროტებული გული ცოტა არ იყოს დაატკბო. თითქო რაღაც ახალმა სიომ დაჰბერაო ჩვენს აუმღვრეველს ენის ატმოსფერას. ნეტა არ იქნება ერთმა ქარიშხალმა დაჰქროლოს და თან წარიღოს ჯანდაბას ჩვენი კონსერვატორობაც და ენის უძლურებაც!

ჩვენს ენაში თუ უნდათ ორი საგანი ერთმანერთს შეადარონ, შეამსგავსონ, ერთს, შესადარებელ საგანს, უმატებენ სუფიქსსა და თანდებულს—«სავით». ამ რიგად ამბობენ: ძმასავით, ქაღალდსავით, ქარსავით, ვენერასავით და სხ. ყოველს შემთხვევაში ამ „სავით"-ის საშუალებით ორი, საზოგადო თვისების მქონი საგნები და მხოლოდ საგნები, ემსგავსებიან ერთმანერთს. ასეთი არის ჩვენს ენაში მიღებული ჩვეულება. გურიაში კი ამ ჩვეულებისთვის ადგილობრივ ყმაწვილ-კაცობას სულ კბილები ჩაუმტვრევია. «სავით»-ის მნიშვნელობა გაუვრცელებიათ იმ ზომამდის, რომ იგი მარტო საგანზე კი არ იხმარება, მოქმედების და მდგომარეობის მსგავსებასაც ნიშნავს. მიცემით ბრუნვის დასასრული «სა» და თანდებული «ვით» ეხლამდის იმ სიტყვებს მისდევდნენ მარტო, რომელნიც იბრუნვებოდნენ, ეხლა ეს „სავით" მიუმატებიათ ზმნისათვისაც.

— შენი ძმა აპირებს მოსვლას?

—. ჰო!.. აპირებსავით.

ამ გვარი დაქორწინება ზმნისა, სახელის ბოლოსი და თანდებულისა ზოგიერთებს არ უკმარიათ და «სავით» დამოუკიდებელ სიტყვად გაუხდიათ.

— დედას სძინავს?

— ...სავით...

ესე იგი არ თუ სძინავს, მაგრამ არც ღვიძავსო.

თუ გნებავთ, ამ გვარი წამება ენისა ულმერთობაა, ბარბაროსობაა. მაგრამ ამ შემთხვევაში თითონ განზრახვა არის კარგი „სავით"-ის ავტორებისა. ეს რაღაც ახალია და ამხილებს იმათში ენისათვის გამზადებულს ნაყოფიერს ნიადაგს, რომელზედაც ნაყოფი კეთილი უნდა აღმოსცენდეს. კარგს, დარბაისელს ქართულს ენას, იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ გიორგი მთაწმიდელი და იოანე, მაშასადამე საუკუნოებით უცვლელად შენახულ ქართულ ენას, მე მირჩევნია შეცდომით და უკანონოებით აღსავსე ახალ-გაზდა ენა, რომელიც დროთა განმავალობით შეცდომას გაისწორებს და მწერლობას დაასაჩუქრებს ახალის გონებითის განვითარების საშუალებითა. „ორს დაძველებულს, დაობებულს და დაცვეთილ ჭეშმარიტებას ერთი პატიოსანი ტყუილი მირჩევნია, თუ ეს ტყუილი კარგად არის მორთულიო», სთქვა ერთმა ნიჭიერმა საფრანგეთის მწერალმა.

ი. მეუნარგია

19 ივლისი
ჩხატაური

გოთო, ამბობს გაზეთი, რომ რუსეთი ჩვენდა უნებურად ამ ქამად იქით მიიწევს, სადა მეტი სითბოა და ნაყოფიერებაო. რუსეთი მიიწევს სამხრეთისაკენაო, რადგან სითბოსა და ნაყოფიერების გარდა მრავალი მადნებია სამხრეთისკენა და კავკასიაშიო. ჩვენდა უნებურად გადავიდა სამხრეთისკენ სხვა-და-სხვა გვარი წარმოებაო. პირუტყვთა ჯოგების ყოლა, ქვა-ნახშირის შემუშავება, ჰარხლის მოყვანა შაქრისათვისა და სხვანიო. როცა ეს მხარე გაივსება მცხოვრებლებით და მუშა ხელი ბლომად იქნება და იაფადაცაო, ქარხნებიც იქით გადავა და მრეწველობაც იქ გაჩაღდებაო. მაშინ სამხრეთი შიდა-რუსეთს აღარ გაუგზავნის შეუმუშავებელს მასალასა და საქონელს: მატყლს, ქონს, ტყავებს და სხვ. სამრეწველოდაო, რომ მერე იქიდამ მიიღოს ხოლმე—სახამებელი, საპონი, მოქნილი, დათრიმლული და გამოყვანილი ტყავი, მაუდები და სხვანიო.

ეს არის მიზეზი რომ ასე მრავლდება ხალხის რიცხვი სამხრეთს რუსეთშიო. ჩვენ თვალ-წინ გაივსნენ და დაიზარდნენ მცირე ქალაქნი სამხრეთისანიო: როსტოვი, ბაქო, ფოთი და ბათუმიო. უმნიშვნელო ადმინისტრატებური ადგილები დღეს მრეწველობის და ვაჭრობის დიდ ქალაქებად გადაიქცნენო.

⁂ ახალ-ქალაქის მაზრაში გამოჩენილა მთელი დასი ავაზაკებისა. ხალხი ამბობსო, რომ უთუოდ ქიარიმაა ამ ახლად შედგენილის დასის მოთავეო. („ნოვ. ობოზრ.“)

⁂ მასაილოვის ქუჩაზე, მუშტაიდის ახლოს, პატიოსანს კაცს არ გაევლებაო: დუქნები მთვრალის დედა-კაცებით არის სავსე; ჰყვირიან, წიოკობენ, ხანდისხან ფანჯრიდამ თავებს გადმოჰყოფენ ხოლმე და მიმავალ-მომავალს ხალხს ურცხვად კოცნას უგზავნიანო. ამისთანა ამბები უფრო ხშირია ტრახტირში, რომელსაც ეწოდება „შეილარია“ («ნოვ. ობოზრ.»)

⁂ რედაქტორს-გამომცემელს თათრულის გაზეთისას „ზია“ იუნსინზადეს, როგორც ამბობს «ნორ-დარი», შემახიაში ტიპოგრაფია გაუმართავს და გაზეთსაც იქ გამოსცემსო. («ნოვ. ობოზრ.»)

⁂ მარიამობისთვის 9-სა, ღამის 9 საათზე, მე-7 განყოფილებაში, ერმოლოვის ქუჩაზე, დავით ფორაქოვის შენობაში, არაქელა არუთინოვის სამჭედლოში, ცეცხლი გაჩენილა და ჭერი დამწვარა; პოლიციის მოხელეთა შემწეობით ცეცხლი მაშინვე გაუქრიათ. ზარალი სულ 10 მანეთისაა.

ნაკვესი

ამას აკაკი ამბობს, ალბად ხუმრობა იქნება.

— ერთი მველი რედაქტორი „ცისკარს“ გვიგზავნიდა, როდესაც ჩვენ პეტერბურგში ვსწავლობდით; სტუდენტებმა მადლობა შემოგუთვალეთ, მაგრამ იმავე დროს ვსთხოვეთ რედაქციის მიმართულება (направленіе) გამოეცვალა. რედაქტორმა ეს ჩვენი ვედრება შეისმინა და სმელეთის მაგიერ ზღვით გვიგზავნა თავისი ჟურნალი.

ლელო

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ერთს ქართულს გაზეთს, რომელიც ამას წინად ასე ასახელეს სხვა-და-სხვა დევ-გმირებმა და სილოვან-გენარლებმა, დღეს ახალი გადია გამოუჩნდა. და აი, ამ გადიის მფარველობის ქვეშ, დაიწყეს ნავარდობა გაზეთის ფურცლებზე ვიღაც „რეზონიერებმა“, „ციკლოპებმა“, „ცინგლიანმა(!) მათემატიკოსებმა, «მათიკოებმა» და სხვებმა. გაზეთს ამათ ხელში, რასაკვირველია, მაშინვე განკარგება დაეტყო, თუმცა კი, უნდა გამოვტყდეთ, ამ გაზეთის მოღვაწეების ნაწერებს ცოტა «პოეტური სიმსუბუქე» ატყვია. ამასთან ახირებულად მახვილობენ ეს ცელქი „ციკლოპები“, „რეზონიერები“ და «მათემატიკოსები». აი მაგალითი:

> ჩვენი კონკები, ან როგორც კინტოები ეძახიან „კონკილები“ (უკაცრავად მკითხველებთან!) მაინც არ იშლიან თავისას, დღეისე არ გავა, ზოგს ფეხი არ მოსტეხოს, ზოგს ხელი და ზოგი სულ არ იმსხვერპლოს. ამ დღეებში ერთი მეურმე კამბეჩით მილეწ-მიულეწია! ნეტა დიდ ხანს გასტანს ესეთი „ნეოსტოროჟნოსტები“(!).

«ნეოსტოროჟნოსტები?!» დიდი მახვილობაა!...

ასე სწერენ პროზით. აი პოეზიის მაგალითიც:

კინტოური ლექსი

გამარჯობა, პარუნ, სულის ჭირიმე!..
ვა! არ გესმის რამოდენას ვყვირი მე?!
ხომ არა გსურს თითო მუშტი გვერდებში?—
მითომ მე ჯერ არ მიცდია ჩემს დღეში!...
  განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
  მე საწყალი—შენ კი დიდი ვინმე ხარ!
ვა, ნი ვი სკაზალ: „კვირას ჩემთან პოიდომო,
ვიპიემ კახურ, ჩემო სულის მალამო“!
მეც გითხარი: გმადლობ სულის ჭირიმე!..
ვა, არ გესმის რა გრომკათა ვყვირი მე?!
  განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
  მე კინტუა—შენ კი გოსპოდინი ხარ!
რას ტრაბახობ, ჩემო კარგო კნიაზო,
შენ როდემდე უნდა აგრე ინაზო?
მე რომ შენებრ გიმნაზისტკა არა ვარ,
მითომ ამით შენზედ ბრიყვი რადა ვარ?
  განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ
  მე, ეშექი—შენ კი პროფესორი ხარ!...
ჩემი სკოლა იარმუკის დახლია,
ტანცის ვერერ ორთა ქალის ბალია
ჩემი დუხი—ღვინით სავსე კულია
ჩემი მუზიკ—სტეპკოს ზურნის სულია
  განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
  მე პაყარნი—შენ კი ჩესნი კაცი ხარ!
რომ მიბღვერი, ერთი არ შემაშინო;..
აფსუს ცილინდრ, ერთ-ნახევარ არშინო...
ჰა, შეშინდი, ჯოჯოხეთის მაშხალო,
მოდი ერთი ყარაჩულად აგშალო!
  განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
  მე რაზბუნიკ შენ კი ლასტოჩკ მტრედი ხარ!
შენც კაცი ხარ, მეც კაცი ვარ ალალი,
მენეც ბოლი, ვამაც ბოლი ზდელალი...
ვი დუმიშ შტო, ვი პაიდოშ სამოთხეს
მე კი პანჩურს შიგ შუა ჯოჯოხეთს?!
  არა, პარუნ, ჩემი ტოლი არა ხარ,
  მოა გრეშნი შენ კი უცოდველი ხარ!..
ეჰ, კნიაზ ნა ვაშ სერცე ჩორტ სიდიტ,
ონ სტო ღლაზ იესტ კრუგომ ჩუჟოი ვსე ვიდიტ!
ჩემს გულში კი ღმერთის ანგელოზი ზის,
ფიქრში, სულში მე ყოველთვის ის მიზის!..
  განზე, განზე, ჩემი ტოლი როდი ხარ,
  შენ ბარიშნებს მე გოგოებს გეუვარვარ!...
ეჰ! გეტყოდი, მაგრამ არა მცალიან,
უდიოტ ტავარიშჩ, ღვინო მწყურის ძალიან...
ხოჩიშ პაიდომ, რადი ბუდემ მი ვსელდა,
კადა სნამი ტაკოი კაკ ვი ლოსპოდა!..
  მაგრამ განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
  შენ მუდრიცა მე კი ლოთი—ფაშა ვარ!..

რა ვსთქვათ იმ გაზეთზე, სადაც ამისთანა „ავლაბრული ლექსები“ იბეჭდება? სხვა რა იმის მეტი, რომ ბ-ნს რედაქტორს და იმის თანამშრომლებს კარგად სცოდნიათ გაზეთის მნიშვნელობა.

რუსეთი

— სევასტოპოლიდამ სწერენ გაზეთს „Московскія Вѣдомости“-სა, რომ აქ პურის ვაჭრობა ძალიან შემდგარიაო. მარტო პურის ფქვილი გააქეთ სამზღვარ-გარედ და ისიც ძალიან ცოტაო: ყოველ კვირა ხუთი, ექვსი და ხან რვა ათასი ფუთი გააქეთო. ეს პური იფქვის ნოვოროსიის საზოგადოების ორთქლის წისქვილშიო. დღითი-დღე ეს წისქვილი წარმატებაში შეჰყავთ პატრონებსა და ამიტომ თან-და-თან უფრო ბევრი ფქვილი იგზავნება სამზღვარ-გარედაო. ეხლა აქ პურების ყიდვა დაიწყეს სამზღვარ გარედ გასაგზავნად. ლუი დრეიფუს და კომპ. უყიდნია ერთს მილიონამდე ფუთი პური. ეხლა აქ პური ადგილზე ფასობს 95—98 კ. ფუთი, ხან მანათამდინაც ადის; ქვავის პური 35—56 კ. ფუთი; ქერი 40—45 კ. წლეულს დიდ-ძალს პურს გაიტანებენ სამზღვარ-გარედაო.

— დაბა ბოგოპოლში, პოლტავის გუბერნიაში, შემდეგი ამბავი მოხდა: ერთს დილას რამდენიმე კაცი დიდის გულ-მოდგინებით ანგრევდა ერთის ღარიბის ღერციკის სახლსა. ცოლი ღერციკისა, შვილები, რომელნიც უსახლ-კაროდ რჩებოდნენ, იდგნენ ცის ქვეშ წვიმაში და მწარედ სტიროდნენ; ქოთნებს, ტანთ-საცმელს, ლოგინს და წვრილმან სახლის ავეჯეულობას ისროდნენ სახლიდამ. აი საქმე რაშია: აქაურს მებატონეს გრეგერს უფიქრნია, ხიზნებს (чиншевикъ) ხომ უნდა მამულები შეასყიდვინონო, და მოდი მოვსთხოვ ჩემს ხიზნებს, რომ ახალი ხელ-შეკრულობა მომცენო. ამ ხელ-შეკრულობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ხელ-შეკრულობის მიმცემი დღეის შემდეგ ხიზანი კი აღარ იქმნება, არამედ მოიჯარადრე. მოიჯარადრეს და ხიზნად ნამყოფს პირობის ძალით, როცა მინდა, მაშინ ჩამოვართმევ მიწასაო. ხალხმა ეშმაკობა გაუგო მებატონეს და უარი განუცხადა ამ გვარს ხელ-შეკრულობაზე. გრეგერი გაწყრა, უჩივლა, პირობას არღვევენო, ზოგს არცა ჰსურს მამცეს ხელ-შეკრულობა, და სთხოვდა სასამართლოს, რომ მცხოვრებლებმა სახლები გადიტანონ ჩემის ადგილიდამაო. გრეგერს ყველა სასამართლომ, რომელსაც კი მიჰმართა საჩივრითა, უარი განუცხადა და გლეხები-ხიზნები გაამართლა. ბოლოს ოლგოპოლის მომრიგებელ მოსამართლეთა კრებამ გარდაუწყვიტა გლეხებს: სახლები გადიტანეთ გრეგერის მამულიდამ, თუ ახალის პირობის წერილით არ შეეკვრითო. აი ამ გარდაწყვეტილების ძალით გრეგერმა აჰყარა გლეხები, რომელთაც ასს და ას-ორმოც-და-ათს წელიწადზე მეტი უცხოვრიათ იმ ალაგზე და ათჯერ და ოცჯერ მეტი გადუხდიათ, რაც ღირს თითო ბეწვა ადგილი, რომელზედაც სახლები აქეთ აშენებულიო.

— მოსკოვიდამ წამოსულა საფრანგეთის შესანიშნავი პოეტი-პატრიოტი პოლ დერულედი, რომელიც ერთი თთვე მეტია, რაც რუსეთშია. მოსკოვში პოეტმა ნახა შესანიშნავი ადგილები; სხვა-და-სხვა მონასტრები, იყო ტროიცკის ლავრაში და ი. ს. აქსაკოვის საფლავზე აღმართულს ძეგლს ყვავილების გვირგვინი დაადგაო. დერულედს რუსული ლიტერატურა კარგად აქვს გაცნობილი და ძრიელაც უყვარსო; პოეტმა ნახა გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი, რომელიც თავის მამულში, „Ясная поляна“-ში, სცხოვრებს ამ ქამად. ტოლსტოისთან ორი დღე დარჩენილა. ვისთანაც და სადაც კი მიდიოდა, ყველგან ალტაცებით და სიხარულით ეგებებოდნენ პოეტსაო. დერულედს ძალიან მოეწონა სტუმართ მოყვარეობა რუსეთისა; დიდი სურვილი აქვსო, რომ უფრო დაახლოვებით გაიცნოს რუსეთის ხალხი, ის ხალხი, რომელიც ასე თანაუგრძნობს მის სამშობლოს—საფრანგეთსაო.

უცხოეთი

გერმანია. გაზეთი „Temps“ ამბობს, რომ რუსეთის მინისტრი გირსი ენკენისთვეში წავა პეტერბურგში, გზად გაივლის ვარცინში და მაშინ თუ შაეყრება ბისმარკსაო. ვენიდამ კი იწერებიან, რომ გირსი მარიამობისთვეში წავა გასტეინში ბისმარკის სანახავადაო.

— სერბი-კროატის გაზეთის კორრესპონდენტს უნახავს რუსის გენერალი იგნატიევი. გენერალს აი რა ულაპარაკნია კორრესპონდენტისათვის რუსეთისა და გერმანიის ურთიერთს შორის დამოკიდებულობასა და განწყობილობაზე: «რუსეთს მუდამ ჟამს კარგი განწყობილება ჰქონდა გერმანიასთან; ჩვენის წყალობით დაამარცხა ომებში ავსტრია და საფრანგეთი, მაგრამ ბერლინის ხელთ-შეკრულობის დროს გერმანიამ რუსეთს მხარი არ მისცა, უმადურად მოექცაო. რამდენჯერაც კი მოინდომა რუსეთმა, რომ აღმოსავლეთში განეხორციელებინა თავის განზრახვანი, გერმანია წინ გადაეღობებოდა ხოლმე, ან ავსტრიას წააქეზებდა, რომ ხელი შეეშალაო. თავადი ბისმარკი ნაპოლეონზე უფრო საშიში მტერია ჩვენთვისა, და ჩვენ უნდა ფთხილად ვიყოთ, რადგანაც ჩვენსა და მათ შორის ომი აუცილებელიაო. გერმანია, რასაკვირველია, თავის დროზე მიხვდება, რომ მოსტყუვდა და ჩვენ მეგობრობას თავი დაანება, რადგანაც ის ორ ცეცხლს შუა ჩავარდებაო. საფრანგეთში ყველას ჰსურს გერმანიის ჯავრის ამოყრა,— ჩვენც აგრეთვეო. შემდეგ გენერალს ულაპარაკნია სერბიაზე:—„სერბია ყოველის მხრივ გაუბედურებული და დასჯილიაო: ზნეობითად, ნივთიერად და პოლიტიკურადაო. სამხედრო სახელი დაჰკარგა და წაუხდაო, ერთიღა აკლია სერბიასაო: გამოიცვალოს სარწმუნოება, თუ სამუდამოდ თავის დაღუპვა ჰსურსო. სერბებს ძალა გამოლეული აქვთო; ნეტა იმდენი მოახერხონ, რომ შინაურს არეულობას გაუძლვნენ და დააშოშმინონო.

— როგორც ამბობენ, ბისმარკი მარიამობისთვის გასულამდე დარჩება გასტეინშიო; შემდეგ ის ბერლინში გზად გამოივლის და პირ-და-პირ ფრიდრიხსრუეში წავაო.

* * *

ინგლისი. ლონდონიდამ იწერებიან, რომ მკათათვის გასულს გლადსტონი მოვიდაო და დარჩება სატახტო ქალაქში, მინამ ხეფე-ხიტყვის გამო კამათობა არ გათავდებაო. შემდეგ გლადსტონი და ლორდი ეოლკერტონი წავლენ ზღვაზე სამგზავროდაო.

— გაზეთები ამბობენ, რომ ირლანდიის ხალხსა და სალისბერის შორის ბრძოლა აუცილებელიაო. ეს თვით სალისბერის უთქვამს. სალისბერის სიტყვა, რომელიც ამას წინად წარმოსთქვა, ირლანდიელებისათვის მწვავე მათრახია; ოცი წლით კატორგა და მანიტაბში გადასახლებაა სწორედ მისი სიტყვაო. ძალიან კარგიო, ამბობენ ირლანდიელები. ჩვენი ხალხი შეეჩვია მწუხარებასა და შევიწროებასაო; ამ ახალს ბრძოლას ღვთის სახელით დავიწყობთო.

— ლონდონიდამ იწერებიან, რომ ბრადლოს ლივერპულში წარმოუთქვამს სიტყვა. ამ სიტყვაში ის აზრი გამოუთქვამს, რომ დიდი ხანია, რაც აღარ არსებობს ინგლისში განუყოფელი და ერთ-სულოვანი ლიბერალური დასიო. აწინდელი პარლამენტი რადიკალურიაო. რადიკალურმა პარტიამ უნდა წინააღმდეგობა გაუწიოს მართებლობას, რომ ეგვიპტეში და ბირმანში ბრძოლას თავი დაანებოსო, მის მაგიერ შინაური საქმეების განკარგებას მიჰყოს ხელიო და ზედა პალატა გააუქმოსო. იქნება ეხლანდელმა სამინისტრომ ორ-სამს წელიწადს გაიტანოს თავიო, მაგრამ შემდეგში მმართველობა აღარ შეხვდება და სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოსო.

* * *

ოსმალეთი. ოსმალეთს სომხეთიდამ ძალიან შემაძრწუნებელი ამბები მოსდის. ვანში აღელვება მომხდარა. ეს აღელვება ამტკიცებს, რომ ქრისტიანები გაჭირვებულს ყოფა-ცხოვრებაში არიან. ამ რამდენსამე ხნის წინად სტამბოლში დაიბარეს ვანის არქიელი მელქიდიჩ ხერიმიანი; ამისი გამოცვლა უნდოდათ; მის მაგივრად ოსმალეთის მომხრე სასულიერო კაცის დანიშვნა ჰსურთო. ეს მომხრე ბოგოსი არისო. წარსულს თთვეში ყოფილა ყრილობა არქიერის ამოსარჩევად, ამის გამო პატრიარქის სახლსა და ეკკლესიასა, სადაც არჩევანი უნდა ყოფილიყო, ჯარის-კაცნი შემოარტყესო. სომხების შეხედულობით პატრიარქის სახლს და ეკკლესიას ვერავინ ვერ შეეხება. როცა ჯარი შემოარტყეს, ხალხს საშინლად ეწყინა და აღელდაო. მეორე დღეს ასამდე კაცი დაიჭირესო. თუმცა ბერლინის ხელთ-შეკრულობის ძალით ოსმალეთს უნდა განეკარგებინა სომხების ყოფა-ცხოვრება, თუმცა სახელმწიფოებმა განუმეორეს, რომ აესრულებინა ხელთ-შეკრულობა, მაგრამ დღემდისინ ყურიც არ უთხოვებია სომხეთისათვისაო.

* * *

სერბია. სერბიისა და ბოლგარიის შორის დღითი დღე მატულობს მტრობა და მძულვარება; ყოველ დღე ერთმანერთზე უჭირავთ თვალი და ერთმანერთს ზომავენ. თუმცა საქმე ასეა, მაგრამ ბოლგარიის დიპლომატები კი დარწმუნებულნი არიან, რომ სრული მშვიდობიანობა დამყარდება სერბიასა და ბოლგარიის შორისო და ძველებური თანხმობა, მეგობრული განწყობილება ამ ორთა მოძმეთა შორის კვლავ აღსდგებაო. ბოლგარიე-

ლი დიპლომატები ასრე ფიქრობენ, ხოლო სერბია თავისას არ იშლის და საზღვრებზე ჯარებს აგროვებს; ჯარების საზღვრებზე შეგროვება მშვიდობიანობას არ მოასწავებსო. სოფიელი კორრესპონდენტი კი ამბობს, რომ სერბია იქ აგროვებს ჯარებს, სადაც შინაგან წესიერებას საფთხე მოელისო; უნდა ამ ჯარებით ხალხში მშვიდობა და წესიერება ჩამოაგდოსო; სერბია თავისით ომს ვერავისთან ვერ დაიწყობს; ხელ-ახლად ვისთანმე ომის დაწყობა იმდენად სერბიაზე არ არის დამოკიდებული, რამოდენადაც ევროპაზეო.

დეპეშა

აგვისტოს 10-სა

პეტერბურგი. მთავრობის ცნობა: ამ ბოლოს დროს ზოგიერთს ჩვენს გაზეთებში ხშირად იყო ხოლმე დაბეჭდილი წერილები პოლიტიკის თაობაზედ. დამწერნი სრულიად უსაფუძვლოდ და შეცთომით ამბობენ, რომ ასეთი და ისეთი დამოკიდებულება არის საიმპერატორო მთავრობისა და სხვა დიდთა სახელმწიფოთა შორისო. ამ წლის განმავლობაში არაფერი ცვლილება არ მომხდარა ჩვენსა და ამ სახელმწიფოთა დამოკიდებულებაშიო და არც ისეთი რამ გარემოებაა მოსალოდნელი, რომელმაც მიზეზი მოგვცეს, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვლება და მოიხმობს და აიძულებს საიმპერატორო მთავრობას შესცვალოს თავისი პოლიტიკაო.

„Правительственный Вѣстникъ"-ში დაბეჭდილია წესები იმ სამაგალითო სკოლათათვის, რომელნიც სემინარიებთან არიან დაარსებულნიო.

ტაშკენტი. გუშინ ჩამოარჩვეს ორი ჯარის კაცი, რომელთაც გაცარცვისათვის ამოჰხოცეს მთელი ოჯახი კირგიზებისა, 6 სულისაგან შემდგარი; მესამე ჯარის კაცს სიკვდილით დასჯის მაგიერ ოცის წლით კატორგა გარდაუწყვიტეს, რადგანაც წმინდის გულით აღიარა თავისი დანაშაული და შეინანა; ერთს ჯარის კაცს კიდევ, რომელსაცა სცოდნოდაეს ამბავი და არ შეეტყობინებინა მთავრობისათვის, გარდაუწყვიტეს ტუსაღთა როტაში გაგზავნა.

სარატოვი. გადარჩენილს მგზავრებს დამწვარის გემისას „Вѣра" უთქვამთ, ცეცხლი ამ გვარად გაჩნდაო: «Вѣра» თურმე ასტრახანიდგან გამოვიდა და ვოლგაზე მიდიოდა. სოფ. „ზოლოტოის" რომ გასცილდა და საღამო დადგა, გემზედ ლამპები აანთეს თურმე. ლამპებს თურმე ადვილად ამფეთქის ნავთით ანათებდნენ. ამ საშინელის უბედურობის მიზეზიც ეს ნავთი გამხდარა: ყველაზედ პირველად ცეცხლი დაენახა იმ მოსამსახურეს, რომელიც ლამპებს ანთებს თურმე 1-ლს კლასში. როგორც ის ამბობს, როდესაც შეველი გემის 1-ლ კლასის ოთახში, დავინახე, რომ ერთი ლამპა გამსკდარიყო და იმის ქვეშ იატაკს ცეცხლი მოჰკიდებოდაო. მივირბინე გემის ცხვირზედ, წამოვავლე „ვედრა"ს ხელი, წყალი ამოვილე და გადავასხი იატაკსაო. ალი უფრო ავარდა და ჭერსაც მოეკიდაო. მოსამსახურის ყვირილზედ, მოვარდა „მატროსი" და ცეცხლს ხალიჩა გადააფარა, მაგრამ ვერ ჩააქრო. დაიწყეს ყვირილი «ვიწვით, ვიწვითო!» ავარდნენ გემის აივანზედ და ყველანი შეაშფოთეს. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა, აირივ-დაირივნენ და შიშით აქედ-იქით დარბოდნენ. ყველაზედ პირველად ერთმა ვილაცა ვაჭარმა, რომლის გვარიც არ იციან, მოინდომა თავის გადარჩენა, პირ-ჯვარი გადიწერა და გადავარდა წყალში. იმას ცხვრებივით გადაჰყვნენ თურმე უკან დანარჩენი მგზავრებიც. ბევრმა მათგანმა ცურაობაც კი არ იცოდა. გემის კომანდირმა გემი მიაბრუნა და გააქანა სარატოვისაკენ, სადაც უფრო თხელი წყალი იყო. თუმცა გემი სცდილობდა თხელ ადგილზედ გასულიყო, მაგრამ მგზავრები მაინც წყალში ცვივოდნენ, რადგანაც ცეცხლი და კომლი შემოერტყა აივანს და ხალხს ძალა-უნებურად ერეკებოდა. თუმცა გემმა ცხვირი რიყეზედ გაიტანა, მაგრამ ბოლო ისევ ოთხის საჟენის სიღრმეზე ჰქონდა მგზავრებიც იქიდგანა ცვივოდნენ, რადგან გემის თავი ალში იყო გახვეული. ვილამაც მოიფიქრა და გადააყრევინა წყალში სტოლები, სკამები და სხ., რომ წყალში ჩაცვივნულთ ხელი მოეკიდნათ და თავი შეემაგრათ. ბევრნი გადარჩნენ, მაგრამ ზოგიერთი დაილუპნენ იმის გამო, რომ გადაყრილი ნივთები მძიმე იყო და ქვეშ მოჰყვნენ. ხალხის დაღუპვას უფრო ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, რომ გემის მაშინა ისევ მუშაობდა, გემის თვლებს ამოჰქონდათ წყალი და ქვეშა, უკან ისროდნენ და რიყეზე გასვლის მსურველს მგზავრებს უკან წყალში ჰყრიდნენ და ჰღუპავდნენ. გემის მაშინა ლამის თორმეტ საათამდე მუშაობდა თურმე, თუმცა გემი ერთს ალაგს იყო გაჩერებულიო.

სარატოვი. 10 აგვისტომდე იმ ალაგს ახლო, საცა დაიწვა გემი „Вѣра", იპოვნეს 74 გვამიო. ქვეითაც, მდინარის, დაყოლებაზედ იპოვეს კიდევ დამრჩვალის კაცების გვამები; შიგ დამწვარის გემის შუაც იპოვნეს ხუთი დამწვარი ჩონჩხი ადამიანისა. გვამებს მარხავენ დღეს სოფელ დოლოტოში.

ჟურჟეო. როცა ალექსანდრე მთავარი სოფიიდამ იყო წასული, კარაველოვმა, ცანკოვმა, როდოსლავოვმა დააწესეს დროებითი მმართებლობა და გამოაცხადეს, რომ მთავარი გადაყენებულ იქმნაო. მთავარი დაატყვევეს ვიდდინში, როცა ჯარებს ათვალიერებდაო და თითონვე ხელი მოაწერა ტახტის უარ-ყოფის ოქმზეო. ერი სიხარულით მიეგება ამ ამბავსაო. ბოლგარიის ყველა ქალაქებში ხალხი ემზადება თავ-მოსაყრელადაო. მთავარი ჯერ-ჯერობით ლომ-პალანკში წაუყვანიათ, სადაც იმისათვის მომზადებულია გემი ტურნ-სევერინში წასაყვანადაო.

ბერლინი. ოფიციალური გაზეთი «Post»-ი ამბობს, რომ ბოლგარის მთავრის გადაყენება არ დაარღვევს ევროპის მშვიდობიანობასაო, რადგანაც სამთა იმპერატორთა კავშირი ეხლა უფრო მკვიდრია, ვიდრე ყოფილა ოდესმეო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

12 დღე ხამშაბათი. მოწ. ფოტისა და ანიკიტესი. კათოლ. წმ. ალმსაარ. იმპ. გენრიხ II-ისა. სომეხ. 2-რე დღე ღვთის-მშობლის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—11. ტფილისში მზე ამოდის 5—17, ჩადის 6—47; მთვარე ამოდის 12—0, ჩადის 2—3. მთვარე 25 დღისაა.

13 დღე ოთხშაბათი. ღირს. მაქსიმესი. კათოლ. წმ. ქალწ. კლარასი. მუსულ. 25 რიცხვი ზილ-ყაადეს თთვისა, 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—1—55. ტფილისში მზე ამოდის 5—18, ჩადის 6—45; მთვარე ამოდის 12—48, ჩადის 2—53.

14 დღე ხუთშაბათი. მიქეა წინ.-მეტყ. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—39. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—44; მთვარე ამოდის 1—45, ჩადის 3—58.

15 დღე პარასკევი. მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მარიამისა. კათოლ. მიცვალება ღვთის-მშობლის მარიამისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუადღე 12—1—22. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43; მთვარე ამოდის 2—50, ჩადის 4—52.

16 დღე შაბათი. ხელთ-უქმნელის ხატისა უფლისა იესო ქრისტესი. კათოლ. წმ. ალმსაარ. ვიაცინტასი. სომეხ. ნავაკატიკი. დღესასწ. წმ. ეჩმიაძინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—5. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—41; მთვარე ამოდის 4—0, ჩადის 5—40.

17 დღე კვირა. მოწ. მირონისა. კათოლ. მე-8 დღე. წმ. ლავრენტის წამებისა. სომეხ. მიცვალება წმ. მღვთის-მშობლისა. ყურძნის კურთხევა. ამ დღიდგან 9 დღე ნახატონაქი აქვსთ. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიაში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—47. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 6—20.

18 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ფლორესი, ლავრესი და სხ. კათოლ. წმ. ალმსაარ. როხისა. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი და ნახატონაქი. მუსულ. 1 რიცხვი ზილ-ჰიჯას თთვისა, 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—29. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—38; მთვარე ამოდის 6—27, ჩადის 7—0.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	12 ›
ცხვრის ხორცი	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	ბათუმი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	21	1	27	ყვირილა	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	ხაშური	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	გორი	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	ტფილისი	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	ხაშური	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	გორი	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	ტფილისი	8	24	—	—

განცხადებანი

პანსიონი ალექსანდრა იაკოვლევნა ლისენკოსი გადავიდა ვოდოვოზნი ქუჩაზედ, კადეცკი კორპუსის მახლობლივ, არტაზოვის სახლში № 12. (6—1)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—4)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.